განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:

ნინო ფეტვიაშვილი

წევრები:
თეა ლილუაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018 წელი}

I. *ინფორმაცია დაწესებულების შესახებ*

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლა

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 240890755

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ***ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება***

☐ პროფესიული კოლეჯი

☐ საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018 წელი}

II. *ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი*

	სტანდარტი	*ავტორიზაციის დებულების შესაბამისი*	*სტანდარტი დაკმაყოფილებ*	*სტანდარტი არაა*
1. *პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების*		*მუხლი 6*		[redacted]
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები).	*მუხლი 6 / პუნქტი ა)*	☐	[redacted]
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი	*მუხლი 6 / პუნქტი გ)*	☐	[redacted]

III. *საერთო მიმოხილვა*

სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემოწმების საფუძველია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 19 ოქტომბრის N951 ბრძანება, რომლის თანახმად, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა N1304640 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენა ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ა“ და „გ“ პუნქტებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018 წელი}

დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის“ პროფესიულ *საგანმანათლებლო პროგრამაში არ არის გათვალისწინებული 2* ***ზოგადი სავალდებულო*** *მოდული „სამოქალაქო განათლება“ – 2 კრედიტი და „რაოდენობრივი წიგნიერება“ – 2 კრედიტი, ხოლო მოდულში „პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები“ გათვალისწინებულია 1 კრედიტი,* ***3 სავალდებულო კრედიტის ნაცვლად*** *(მოდულის დასახელება უნდა იყოს „ინტერპერსონალური კომუნიკაცია“).* ***ამ ხარვეზებიდან გამომდინარე პროგრამის მოცულობა უნდა შეადგენდეს 89 კრედიტს და, შესაბამისად არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 104 კრედიტს, რაც შეცვლის პროგრამის ხანგრძლივობასაც.***

- 6 კრედიტი არ არის გათვალისწინებული არც წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში.

- 1.1. ქვესტანდარტში მითითებული ხარვეზიდან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი პროგრამის „დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის“ სწავლის შედეგები არ შეესაბამება დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის ჩარჩო დოკუმენტებს (ჩარჩოს სარეგისტრაციო ნომერი - 07102-პ).

რეკომენდაციების შეჯამება

დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

1. მოდულში „ელექტრო დანადგარების და ქსელების მონტაჟი“, სტანდარტულ ჩანაწერებში მტკიცებულებების ჩამონათვალში „ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულების“ ნაცვლად წერია „ზეპირი და წერილობითი მტკიცებულება“, ხოლო 3.7 პუნქტში მითითებულ შეფასების ინტრუმენტებში „გამოკითხვის“ შეფასების ინსტრუმენტად მითითებულია მხოლოდ ტესტი.

2. ამავე მოდულის მტკიცებულებების შეგროვების მიდგომებშიც აღნიშნულია, რომ ზეპირი და წერილობითი მტკიცებულებები გროვდება სასწავლო აუდიტორიებში, შეფასების მტკიცებულებების ნუსხა კი არ მოიცავს ზეპირ მტკიცებულებას. ასეთივე შეუსაბამობაა მოდულში „საყოფაცხოვრებო ელექტროტექნიკის მონტაჟი და რემონტი“.

3. მოდულებში 3.5 პუნქტი არ არის ადაპტირებული, მოცემულია მინიმალური აღჭურვილობის ნორმატივი და არა აღჭურვილობის ჩამონათვალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018 წელი}

ზეინკალ - სანტექნიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

1. მოდულში „სამოქალაქო განათლება“, განხორციელების მიდგომები სარეკომენდაციო ხასიათისაა და არ ასახავს დაწესებულების კონკრეტულ ხედვას. ამავე მოდულის საათობრივ ბადეში არის გარკვეული უზუსტობები, კერძოდ საკონტაქტო საათების ჯამი უნდა იყოს 26, ნაცვლად 32-ისა, დამოუკიდებელი საათების- 21, ნაცვლად 12-ისა , ხოლო შეფასება -3, ნაცვლად 6 საათისა.

2. „გაცნობითი პრაქტიკა - ზეინკალ-სანტექნიკოსი“, სტანდარტულ ჩანაწერებში მტკიცებულების ნაწილში, „ზეპირი ან/და წერილობითი“ მტკიცებულება კორექტირებულია როგორც „ზეპირი და წერილობითი“, შეფასების ინსტრუმენტების ჩამონათვალში მხოლოდ ტესტია მითითებული და არ გვხვდება ზეპირი მტკიცებულების შესაგროვებლად საჭირო შეფასების ინსტრუმენტი. ასევეთივე უზუსტობაა მოდულში: სამშენებლო ნახაზების კითხვა და სქემების შედგენა.

3. სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია, რომ მოდული-საზეინკლო სამუშაოები სანტექნიკოსის საქმიანობაში იწყება წინაპირობა მოდულის - შრომის უსაფრთხოება და საწარმოო სანიტარია საზეინკლო საქმეში დასრულებისთანავე. რეკომენდებულია მათ შორის არსებობდეს დროის შუალედი სწავლის შედეგების განმეორებით დადასტურების შესაძლებლობისთვის.

4. მოდულის „თბომომარაგება“ წინაპირობა მოდულია „შიდა წყალსადენი სისტემის მონტაჟი“. სასწავლო გეგმაში აღნიშნული წინაპირობა არ არის დაცული.

რეკომენდაცია, რომელიც ორივე პროგრამაში გასათვალისწინებელი:

1. საწარმოო პრაქტიკის მოდულში პუნქტი 3.2. არ არის ადაპტირებული. კერძოდ, წარმოდგენილია ზოგადი ჩანაწერი „მოდულის განხორციელება შესაძლებელია პრაქტიკის ობიექტზე. პრაქტიკის ობიექტი შესაძლოა იყოს ნებისმიერი იურიდიული პირი, მათ შორის საგანმანათლებლო დაწესებულებასთან არსებული საწარმო“, რომელიც უნდა აკონკრეტებდეს დაწესებულებას, სადაც იგეგმება პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება.

2. სასურველია, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაშიც მიეთითოს საწარმოო პრაქტიკის ობიექტები, კერძოდ ინფორმაცია პროფესიული პროგრამების განხორციელებაში ჩართული პარტნიორების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018 წელი}

სტანდარტების შეფასება

1. *საგანმანათლებლო პროგრამები*

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ექსპერტებმა შეისწავლეს სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლის დირექტორის 2018 წლის 11 ივნისის N 2-109 ბრძანება, რომლის თანახმად განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ზეინკალ-სანტექნიკოსისა“ და „დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის“ მოდულების მოდიფიცირება. ექსპერტთა მოსაზრებით ბრძანება ბუნდოვანია, კერძოდ გაუგებარია ჩანაწერი *„დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის“ პროგრამის ახალ ჩარჩოსთან დაკავშირებით განხორციელდეს ზოგადი მოდულების თავსებადობა, ხოლო სავალდებულო პროფესიული და არჩევითი პროფესიული მოდულები მოდიფიცირებულია, მაგრამ მილევად რეჟიმშია. ...“ზეინკალ-სანტექნიკოსის“ პროგრამის ადაპტირება მოხდეს ახალი ჩარჩო დოკუმენტით. აღიარება მოხდეს ახალი მოდულებით, მაგრამ სწავლა გაგრძელდე ძველი მოდულებით“ .*

ექსპერტების მიერ მოხდა ორივე პროგრამის გადამოწმება და პროფესიულ სტანდარტებთან თავსებადობის დადგენა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შედგება პროგრამის ძირითადი დოკუმენტისა და მოდულებისგან.

ორივე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას თან ახლავს: მოდულები, ინფორმაცია საგანამანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ; სასწავლო გეგმა, რომელშიც ასახულია მოდულების განხორციელების თანმიმდევრობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018 წელი}

საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, პროფესიული კვალიფიკაციის დონე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მიზანი, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგძლივობა, პროფესიული სტუდენტის მიღწევის შეფასების წესი.

სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილია „დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ჩარჩოს სარეგისტრაციო ნომერი - 07102-პ).

პროგრამას თან ახლავს სასწავლო გეგმა და განმახორციელებელი პერსონალის შესახებ ინფორმაცია. სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია დაშვების წინაპირობები, პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

<u>მოდულების გადამოწმებისას დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზები.</u> **კერძოდ,**
შესწავლილი დოკუმენტების თანახმად პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 83 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 98 კრედიტს. პროგრამის სავარაუდო ხანგძლივობაა 18 თვეა. თუმცა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის“ პროფესიულ *<u>საგანმანათლებლო პროგრამაში არ არის გათვალისწინებული ზოგადი სავალდებულო მოდულები „სამოქალაქო განათლება“ – 2 კრედიტი და „რაოდენობრივი წიგნიერება“ – 2 კრედიტი, ხოლო მოდულში „პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები“ გათვალისწინებულია 1 კრედიტი, 3 სავალდებულო კრედიტის ნაცვლად (მოდულის დასახელება უნდა იყოს „ინტერპერსონალური კომუნიკაცია“), რაც</u>* დაწესებულების მიერ წარმოდგენილ *<u>სასწავლო გეგმაში არ არის გათვალისწინებული.</u>* ***ამ ხარვეზებიდან გამომდინარე პროგრამის მოცულობა უნდა შეადგენდეს 89 კრედიტს და, შესაბამისად არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 104 კრედიტს, რაც შეცვლის პროგრამის ხანგრძლივობასაც.***

უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი ხარვეზების გარდა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში მოდულები ნაწილობრივ არის ადაპტირებებული, რაზედაც ექსპერტებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები.

1. მოდულში „ელექტრო დანადგარების და ქსელების მონტაჟი“, სტანდარტულ ჩანაწერებში მტკიცებულებების ჩამონათვალში „ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულების“ ნაცვლად წერია „ზეპირი და წერილობითი მტკიცებულება“, ხოლო 3.7 პუნქტში მითითებულ შეფასების ინტრუმენტებში „გამოკითხვის“ შეფასების ინსტრუმენტად მითითებულია მხოლოდ ტესტი.

2. ამავე მოდულის მტკიცებულებების შეგროვების მიდგომებშიც აღნიშნულია, რომ ზეპირი და წერილობითი მტკიცებულებები გროვდება სასწავლო აუდიტორიებში, შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018 წელი}

მტკიცებულებების ნუსხა კი არ მოიცავს ზეპირ მტკიცებულებას. ასეთივე შეუსაბამობაა მოდულში „საყოფაცხოვრებო ელექტროტექნიკის მონტაჟი და რემონტი“.

3. მოდულებში 3.5 პუნქტი არ არის ადაპტირებული, აღჭურვილობის ჩამონათვალის ნაცვლად მოცემულია მინიმალური აღჭურვილობის ნორმატივი.

4. საწარმოო პრაქტიკის მოდულში პუნქტი 3.2. არ არის ადაპტირებული. კერძოდ, წარმოდგენილია ზოგადი ჩანაწერი „მოდულის განხორციელება შესაძლებელია პრაქტიკის ობიექტზე. პრაქტიკის ობიექტი შესაძლოა იყოს ნებისმიერი იურიდიული პირი, მათ შორის საგანმანათლებლო დაწესებულებასთან არსებული საწარმო“, რომელიც უნდა აკონკრეტებდეს დაწესებულებას, სადაც იგეგმება პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება.

5. სასურველია, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაშიც მიეთითოს საწარმოო პრაქტიკის ობიექტები, კერძოდ ინფორმაცია პროფესიული პროგრამების განხორციელებაში ჩართული პარტნიორების შესახებ.

ზეინკალ - სანტექნიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია „ზეინკალ-სანტექნიკოსის“ ჩარჩო დოკუმენტის (სარეგისტრაციო ნომერი -07303-პ) საფუძველზე. ქართულენოვანი სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობაა 80 კრედიტი, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის -95 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგძლივობაა 16 თვე.

მოდულების გადამოწმებისას დაფიქსირდა რეკომენდაციები. ექსპერტების მოსაზრებით უნდა მოხდეს ამ უზუსტობების ჩასწორება და მოდულების ადაპტირება. კერძოდ,

1. მოდულში „სამოქალაქო განათლება“, განხორციელების მიდგომები სარეკომენდაციო ხასიათისაა და არ ასახავს დაწესებულების კონკრეტულ ხედვას. ამავე მოდულის საათობრივ ბადეში არის გარკვეული უზუსტობები, კერძოდ საკონტაქტო საათების ჯამი უნდა იყოს 26 სთ, ნაცვლად 32-ისა, დამოუკიდებელი საათების- 21 სთ, ნაცვლად 12-ისა , ხოლო შეფასება - 3 სთ, ნაცვლად 6 საათისა.

2. „გაცნობითი პრაქტიკა - ზეინკალ-სანტექნიკოსი“, სტანდარტულ ჩანაწერებში მტკიცებულების ნაწილში, „ზეპირი ან/და წერილობითი“ მტკიცებულება კორექტირებულია როგორც „ზეპირი და წერილობითი“, შეფასების ინსტრუმენტების ჩამონათვალში მხოლოდ ტესტია მითითებული და არ გვხვდება ზეპირი მტკიცებულების შესაგროვებლად საჭირო შეფასების ინსტრუმენტი. ასევეთივე უზუსტობაა მოდულში: სამშენებლო ნახაზების კითხვა და სქემების შედგენა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018 წელი}

3. სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია, რომ მოდული-საზეინკლო სამუშაოები სანტექნიკოსის საქმიანობაში იწყება წინაპირობა მოდულის - შრომის უსაფრთხოება და საწარმოო სანიტარია საზეინკლო საქმეში დასრულებისთანავე. რეკომენდებულია მათ შორის არსებობდეს დროის შუალედი სწავლის შედეგების განმეორებით დადასტურების შესაძლებლობისთვის.

4. მოდულის „თბომომარაგება“ წინაპირობა მოდულია „შიდა წყალსადენი სისტემის მონტაჟი“. სასწავლო გეგმაში აღნიშნული წინაპირობა არ არის დაცული.

5. საწარმოო პრაქტიკის მოდულში პუნქტი 3.2. არ არის ადაპტირებული. კერძოდ, წარმოდგენილია ზოგადი ჩანაწერი „მოდულის განხორციელება შესაძლებელია პრაქტიკის ობიექტზე. პრაქტიკის ობიექტი შესაძლოა იყოს ნებისმიერი იურიდიული პირი, მათ შორის საგანმანათლებლო დაწესებულებასთან არსებული საწარმო“, რომელიც უნდა აკონკრეტებდეს დაწესებულებას, სადაც იგეგმება პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება.

6. სასურველია, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაშიც მიეთითოს საწარმოო პრაქტიკის ობიექტები, კერძოდ ინფორმაცია პროფესიული პროგრამების განხორციელებაში ჩართული პარტნიორების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

დირექტორის 2018 წლის 11 ივნისის N2-109 ბრძანებით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტითა და ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი დაბალი ძაბვის ელეტრიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამითა დამოდულებით (ჩარჩოს სარეგისტრაციო ნომერი - 07102-პ);

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტითა და ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი ზეინკალ - სანტექნიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამითა დამოდულებით (სარეგისტრაციო ნომერი -07303-პ);

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

\| ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018 წელი}

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი პროგრამის „ზეინკალ-სანტექნიკოსის“ სწავლის შედეგები შეესაბამება „ზეინკალ-სანტექნიკოსის“ ჩარჩო დოკუმენტს (სარეგისტრაციო ნომერი -07303-პ) ჩარჩო დოკუმენტებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი პროგრამის „დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის“ <u>სწავლის შედეგები არ შეესაბამება დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის ჩარჩო დოკუმენტებს (ჩარჩოს სარეგისტრაციო ნომერი - 07102-პ).</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებითა და შესაბამისი პროფესიული პროგრამებით;

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

▉ ქვესტანდარტი დარღვეულია

13/11/2018 თბილისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018 წელი}